

COVID-19-ის წინააღმდეგ მიღებული ზომები

სამართაბორისო პრეფიიკა



ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული ბოლო მონაცემების თანახმად, მსოფლიოს 215 ქვეყნის მასშტაბით, კორონავირუსის 4 მილიონზე მეტი დადასტურებული შემთხვევა დაფიქსირდა, მათ შორის 281,015 შემთხვევა ლეტალურად დასრულდა.

ახალი კორონავირუსის გავრცელების საპასუხოდ სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები ფართო სპექტრის ზომებს მიმართავენ. ოქსფორდის უნივერსიტეტის ბლავატნიკის მართვის სკოლის კვლევითმა ჯგუფმა მიღებული ზომების შეფასების სპეციალური მექანიზმი **The Oxford COVID-19 Government Response Tracker (OxCGRT)** შექმნა, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის მთავრობების მიერ კორონავირუსის შესაჩერებლად მიღებული ზომების შეფასებას და შედარებას ახდენს, საბოლოოდ კი სიმკაცრის ინდექსი გამოჰყავს. მექანიზმი თითოეულ ქვეყანაზე საჯაროდ გამოქვეყნებულ ინფორმაციას სახელმწიფო რეაგირების 17 ინდიკატორის მიხედვით აგროვებს, აქედან 8 ინდიკატორი შეჩერების და შეზღუდვის პოლიტიკას (სასწავლო პროცესის შეჩერება, მიმოსვლის შეზღუდვები, კომერციული ობიექტების დახურვა) ეხება, 4 ინდიკატორი ეკონომიკურ პოლიტიკას (სოციალური დახმარება, უმუშევრობის კომპენსაცია, შემწეობა), ხოლო დანარჩენი 5 ინდიკატორი მოიცავს ჯანდაცვის პოლიტიკას (ტესტირება, საგანგებო ინვესტიციები ჯანდაცვის სფეროში). აღნიშნულზე დაყრდნობით, IDFI-მ, ქვეყნების კლასიფიკაცია მკაცრი, საშუალო და მსუბუქი შეზღუდვების მიხედვით მოახდინა. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების, სპეციალური აკრძალვებისა და მათი დარღვევის შემთხვევაში დაწესებული ჯარიმების აღწერა, 2020 წლის 10 მაისის მდგომარეობით, წარმოდგენილია ცხრილის სახით.

ცხრილში საქართველოს ჩათვლით ჯამში 22 ქვეყნის მაგალითია მოცემული. მონაცემების მიხედვით, ჩანს, რომ თითოეულ მათგანში კორონავირუსის გავრცელების საპასუხოდ მარტის თვეში მიღებული ზომების ეტაპობრივი შემსუბუქება აპრილის მეორე ნახევრიდან იწყება. უნდა აღინიშნოს, რომ მკაცრი კარანტინის ქვეყნებში მიღებული ზომების შემსუბუქება არ ეხება სახლიდან გასვლას, რაც მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობით, მათ შორის, საკვებისა და მედიკამენტების შეძენით, ან სამედიცინო დაწესებულებებში ვიზიტით უნდა იყოს ნაკარნახევი.

საქართველოს მთავრობამ, აპრილის ბოლოდან - ივლისის პირველ ნახევრამდე, ეკონომიკური შეზღუდვების მოხსნის 6-ეტაპიანი გეგმა წარმოადგინა, რომელიც ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით, 2 კვირიანი შუალედებით ამოქმედდება.

შემოღებული შეზღუდვების რაოდენობის, სიმკაცრისა და მათი დარღვევისთვის დაწესებული ჯარიმების სიმძიმის გათვალისწინებით, საქართველო მკაცრი ზომების მქონე ქვეყნებს უახლოვდება. **ფიზიკური პირის მიერ საგანგებო მდგომარეობის სპეციალური რეჟიმის პირველივე დარღვევის ფაქტს 3000 ლარიანი ჯარიმა მოჰყვება, რაც აღემატება დასავლეთ ევროპის, სკანდინავიის და სხვა განვითარებული ქვეყნების მიერ დაწესებული ჯარიმების რაოდენობას და არაპროპორციულად მაღალია მოსახლეობის შემოსავლებთან მიმართებით.** მაგალითად, გერმანიის შემთხვევაში, წესების დარღვევი პირის ჯარიმა მისი თვიური შემოსავლის მიხედვით განისაზღვრება, ხოლო ახალ ზელანდიაში, პირველი დარღვევის შემთხვევაში მოქალაქე მხოლოდ სიტყვიერ გაფრთხილებას იღებს.

საბერძნეთი

შემთხვევათა რაოდენობა და ტენდენცია 10 მაისის მდგომარეობით

	პირველი შემთხვევა 26.02.2020	სულ დადასტურებული 2,710	გამოჯანბრებული 1,374
	პიკი 156 <small>დაფიქსირდა 21 აპრილს</small>	შემთხვევები 1 მლნ მოსახლეზე 260	ბარდაცვლილი 151

მკაცრი ზომები

- 16 მარტიდან მოქმედებს 14-დღიანი სავალდებულო კარანტინი, ნებისმიერი საერთაშორისო მგზავრისთვის;
- 23 მარტი - საყოველთაო კარანტინის გამოცხადება;
- 23 მარტი - მოქმედებს კომენდანტის საათი, სახლიდან გასვლა ნებადართულია მხოლოდ საკვებისა და მედიკამენტების შეძენის, ან სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების მიზნით;
- პოლიციის მიერ შეზღუდულია ქალაქებს შორის გადაადგილება; ბლოკპოსტები მოეწყო ქალაქის შესასვლელებში, შემონიშნავს გადის თითოეული ტრანსპორტი;
- სასწავლო დაწესებულებებში სწავლა შეწყვეტილია 11 მაისამდე, რესტორნებსა და კაფეებს ეკრძალებათ საქმიანობის განახლება 25 მაისამდე.

ჯარიმების რაოდენობა

- დაჯარიმდება მანქანის მგზავრი, რომელიც გადაადგილდება აუცილებელი საჭიროების გარეშე, ჯარიმა - 300 ევრო;
- სამოგადოებრივ ტრანსპორტში, სავაჭრო ობიექტებსა და სხვა დახულ დაწესებულებებში პირბადის გარეშე ყოფნა დაჯარიმდება 150 ევროთი;
- 23 მარტიდან - 3 მაისის ჩათვლით 150 ევროს ოდენობით დაჯარიმდება პირი, რომელიც დაარღვევს კომენდანტის საათს;

* აღდგომის კვირას სოფლებისა და კუნძულების მიმართულებით უნებართვო გადაადგილებაზე ჯარიმა 300 ევროთი განისაზღვრა.

აზერბაიჯანი

შემთხვევათა რაოდენობა და ტენდენცია 10 მაისის მდგომარეობით

	პირველი შემთხვევა 28.02.2020	სულ დადასტურებული 2,422	გამოჯანბრებული 1,620
	პიკი 143 <small>დაფიქსირდა 9 მაისს</small>	შემთხვევები 1 მლნ მოსახლეზე 239	ბარდაცვლილი 31

მკაცრი ზომები

- 24 მარტიდან მოქმედებს საყოველთაო კარანტინის რეჟიმი;
- აზერბაიჯანის ტერიტორიაზე შემოსული ნებისმიერი პირი ვალდებულია გაიაროს 14-დღიანი საკარანტინე რეჟიმი, ხარჯები უზრუნველყოფილია მთავრობის მიერ;
- რესტორნები, პარკები და რეკრეაციული ზონები დახურულია;
- 5 აპრილიდან გამკაცრდა ზომები, სახლიდან გასვლის ნებართვის მისაღებად საჭიროა ტექსტური შეტყობინების გაგზავნა.
- სახლიდან გასვლა შესაძლებელია მხოლოდ სასურსათო მაღაზიების, აფთიაქების, ბენზინგასამართი სადგურების, ბანკებისა და ფოსტის ოფისების საჭიროების შემთხვევაში.

ჯარიმების რაოდენობა

- საკარანტინე რეჟიმის დარღვევისთვის მოქალაქე დაჯარიმდება 100 მანათიდან - 200 მანათამდე (50-100 USD) თანხის ოდენობით, ან მიეცემა 30 დღემდე პატიმრობაში.

ახალი გელანდია შემთხვევათა რაოდენობა და ტენდენცია 10 მაისის მდგომარეობით

	პირველი შემთხვევა	სულ დადასტურებული	გამოჯანმრთელებული
	25.02.2020	1,494	1,371
	პიკი	შემთხვევები 1 მლნ მოსახლეზე	გარდაცვლილი
	146 დაფიქსირდა 28 მარტს	310	21

მკაცრი ზომები

- 25 მარტს გამოცხადდა **საგანგებო მდგომარეობა**, დაწესდა 1-თვიანი მკაცრი საკარანტინე რეჟიმი;
- დაიხურა სკოლები, შეწყდა ყველა იმ ბიზნესის საქმიანობა, რომელიც არ წარმოადგენდა გადაუდებელი საჭიროების მქონეს;
- 23 აპრილიდან დაიწყო ზომების ოთხსაფეხურიანი შემსუბუქება, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის, სასწავლო დაწესებულებებისა და სხვა საჯარო სივრცეების ამოქმედებას;
- 29 აპრილს მიღებულ იქნა საგანგებო მდგომარეობის გაგრძელების **გადანწყვეტილება** 6 მაისამდე, თუმცა ოთხსაფეხურიანი შემსუბუქება გეგმა ისევ ძალაშია;
- ქორწილებში, დაკრძალვებსა და რელიგიურ რიტუალებში 10-ზე მეტი პირის დასწრება აკრძალულია;
- სახლიდან გასვლა შესაძლებელია მხოლოდ, სამსახურებში, სავაჭრო ობიექტებში გასვლის, აგრეთვე ვარჯიშის მიზნით.

ჯარიმების რაოდენობა

- წესების დარღვევის შემთხვევაში დამრღვევი პირი იღებს გაფრთხილებას, განმეორების შემთხვევაში შესაძლოა მოხდეს თავისუფლების აღკვეთა.

ისრაელი

შემთხვევათა რაოდენობა და ტენდენცია 10 მაისის მდგომარეობით

	პირველი შემთხვევა 21.02.2020	სულ დადასტურებული 16,458	გამოჯანმრთლებული 11,384
	პიკი დაფიქსირდა 2 აპრილს, საგანგებო მდგომარეობის შემოღებიდან 12 დღეში, მას შემდეგ აღინიშნება კლების ტენდენცია.	შემთხვევები 1 მლნ მოსახლეზე 1,901	ბარდაცვლილი 248

მაკარნი ზომები

- ❗ 19 მარტი - გამუცხადდა საგანგებო მდგომარეობა;
- ❗ აიკრძალა საცხოვრებელი სახლიდან 100 მეტრის მოშორებით გადაადგილება (გამონაკლისის შემთხვევების გარდა);
- ❗ გარეთ გადაადგილებისას ინდივიდებმა უნდა დაიცვან 2 მეტრიანი დისტანცია;
- ❗ კერძო ავტომობილებში არ დაიშვება 2-ზე მეტი ადამიანის ყოფნა;
- ❗ დაიხურა არსებითი მნიშვნელობის არ მქონე დაწესებულებები 24 აპრილამდე;
- ❗ აიკრძალა სინაგოგებში შეკრება;
- ❗ სავალდებულოა ნიღბების ტარება საჯარო სივრცეებში გადაადგილებისას;
- ❗ საჯარო ტრანსპორტი არ იმუშავებს შაბათ კვირას და დანარჩენ დღეებში იმუშავებს მხოლოდ 8 საათამდე.

ჭარიების რაოდენობა

- ❗ პირები რომლებიც საცხოვრებელი მისამართს 100 მეტრზე მეტით შორდებიან 500 შეკელით (140 ა.შ.შ დოლარით) ჯარიმდებიან და გარკვეულ შემთხვევებში თავისუფლების აღკვეთაც ელით;
- ❗ პირები რომლებიც არ ატარებენ ნიღბს საჯარო სივრცეებში დაჯარიმდებიან 200 შეკელით (55 ა.შ.შ დოლარით);
- ❗ 5000 (1400 ა.შ.შ დოლარი) შეკელი კარანტინის დარღვევისთვის;
- ❗ 1000 (290 ა.შ.შ დოლარი) შეკელი დაშლის მოთხოვნაზე დაუმორჩილებლობისთვის;
- ❗ 5000 (1400 ა.შ.შ დოლარი) შეკელი აკრძალული საქმიანობის შეჩერებაზე დაუმორჩილებლობისთვის;
- ❗ 500 შეკელით (140 ა.შ.შ დოლარით) აკრძალულ ტერიტორიაზე გადაადგილებისთვის;
- ❗ საჯარო ტრანსპორტის ოპერირება რეგულაციების დარღვევით, 5000 (1400 ა.შ.შ დოლარი) შეკელი;
- ❗ 2000 შეკელამდე (560 ა.შ.შ დოლარი) ჯარიმა იურიდიულ პირებს რომლებიც დაარღვევენ მთავრობის რეგულაციებს (24 აპრილიდან).

იტალია

შემთხვევათა რაოდენობა და ტენდენცია 10 მაისის მდგომარეობით

	პირველი შემთხვევა	სულ დადასტურებული	გამოჯანბრებული
	31.01.2020	218,268	103,031
	პიკი	შემთხვევები 1 მლნ მოსახლეზე	ბარდაცვლილი
	6,557 დაფიქსირდა 21 მარტს	3,610	30,395

მკაცრი ზომები

- 23 თებერვალი - კარანტინი გამოცხადდა პატარა ქალაქებში, სადაც პანდემიამ იფეთქა;
- 4 მარტი - სკოლები და უნივერსიტეტები დაიხურა;
- 9 მარტი - საგანგებო მდგომარეობა, არასტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების დაიხურა და შიდა და საერთაშორისო გადაადგილება აიკრძალა;
- 22 მარტი - ყველა სანარმო შეჩერდა გარდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროდუქტების წარმოებისა;
- 22 მარტი - ლომბარდიის რეგიონში აიკრძალა ყველა სახის ფიზიკური აქტივობა შენობის გარეთ, დაიკეტა პარკები და აიკრძალა სახლიდან შორს გასვლა.

ჯარიმების რაოდენობა

- კარანტინის პირობების დარღვევისთვის - €400 - €3,000 (\$430 - \$3,227) ან სამ თვიანი პატიმრობა.

ესპანეთი

შემთხვევათა რაოდენობა და ტენდენცია 10 მაისის მდგომარეობით

	პირველი შემთხვევა	სულ დადასტურებული	გამოჯანბრებული
	31.01.2020	264,663	176,439
	პიკი	შემთხვევები 1 მლნ მოსახლეზე	ბარდაცვლილი
	8,271 დაფიქსირდა 26 მარტს, გრძელდება აპრილის პირველ ნახევრამდე	5,661	26,621

მკაცრი ზომები

- 9 მარტი - სკოლები დაიხურა;
- 10 მარტი - საერთაშორისო მიმოსვლა აიკრძალა;
- 14 მარტი - საგანგებო მდგომარეობა და საყოველთაო კარანტინი, სასწავლო დაწესებულებები და არასტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები დაიხურა და შიდა და საერთაშორისო გადაადგილება აიკრძალა.

ჯარიმების რაოდენობა

- ჯარიმები ვარირებს 100€ - 600,000€ ან პატიმრობა 3 თვიდან 1 წლამდე, დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე.

საქართველო

შემთხვევათა რაოდენობა და ტენდენცია 10 მაისის მდგომარეობით

	პირველი შემთხვევა	სულ დადასტურებული	გამოჯანმრთელებული
	26.02.2020	635	309
	პიკი	შემთხვევები 1 მლნ მოსახლეზე	ბარდაცვლილი
	42 დაფიქსირდა 16 აპრილს	159	10

მაკროზომები

ქვეყნის მასშტაბით **საგანგებო მდგომარეობა** 21 მარტს გამოცხადდა, მოქმედებს სპეციალური საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი:

- ❗ აკრძალულია საჯარო სივრცეში 10 პირზე მეტის შეკრება;
- ❗ დადგენილია 2-მეტრიანი სოციალური დისტანციის დაცვის ვალდებულება;
- ❗ აკრძალულია ქორწილების, ქეღებებისა და სხვა ღონისძიებების გამართვა, რომელიც 3-ზე მეტი პირის შეკრებას ითვალისწინებს;
- ❗ ქვეყანაში მოქმედებს კომენდანტის საათი საღამოს 9 საათიდან - დილის 6 საათამდე;
- ❗ აკრძალულია 70 წელს ზემოთ ასაკის პირებისთვის გარეთ გასვლა, გარდა ახლომდებარე აფთიაქის, სამედიცინო დაწესებულების, ან მაღაზიისა;
- ❗ 15 აპრილიდან ჩაიკეტა 4 დიდი ქალაქი, მათ შორის: თბილისი, ქუთაისი, რუსთავი და ბათუმი;
- ❗ აიკრძალა ავტომობილში 3-ზე მეტი პირის ყოფნა, ორი მგზავრი უკანა სავარძელზე უნდა მოთავსდეს.

ჭარბების რაოდენობა

- 📢 საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევაზე ფიზიკური პირი დაჯარიმდება 3000 ლარით, იურიდიული პირი - 15 000 ლარით;
- 📢 საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის განმეორებით დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებულია 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა.

მონტენეგრო

შემთხვევათა რაოდენობა და ტენდენცია 10 მაისის მდგომარეობით

	პირველი შემთხვევა 17.03.2020	სულ დადასტურებული 324	გამოჯანბრებული 274
	პიკი 30 დაფიქსირდა 3 აპრილს	შემთხვევები 1 მლნ მოსახლეზე 516	ბარდაცვლილი 9

საშუალო სიმკაცრის ზომები

- 4 მარტიდან აიკრძალა პირბადის გარეშე დახურულ შენობებში ვიზიტი;
- 15 მარტს გამოცხადდა **საგანგებო მდგომარეობა**;
- აკრძალულია საჯარო სივრცეში ორი ან ორზე მეტი პირის შეკრება (სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებელ პირებზე, 12 წლამდე ასაკის ბავშვებსა და შშმ პირებზე ვრცელდება გამონაკლისი);
- 21 მარტს მთავრობამ მიიღო გადანყვეტილება გამოეყვეყნებინა ყველა იმ პირის სახელი და საცხოვრებელი, რომლებსაც მიეცათ თვითიზოლაციის რეკომენდაცია;
- 18 მაისის ჩათვლით მოქმედებს კომენდანტის საათი, საღამოს 11-დან დილის 5 საათამდე;
- მონტენეგროს ტერიტორიაზე შემსვლელი ნებისმიერი საერთაშორისო მგზავრი ვალდებულია გაიაროს 14-დღიანი საკარანტინე რეჟიმი, შემდგომ 14-დღიანი თვითიზოლაცია, შეზღუდვა 28 მაისამდე მოქმედებს;
- აკრძალულია ნებისმიერი საქალაქთაშორისო ტრანსპორტით, მათ შორის ტაქსით გადაადგილება 1-ლ ივნისამდე;
- 4 მაისიდან საზოგადოებრივი ტრანსპორტით ისარგებლებენ მხოლოდ ის მუნიციპალიტეტები, რომლებშიც კორონავირუსის შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

ჯარიმების რაოდენობა

რეგულაციების დარღვევის შემთხვევაში მოქალაქეები დაჯარიმდებიან ან მიეცემათ 1 წლამდე პატიმრობაში.

აპსტრია

შემთხვევათა რაოდენობა და ტენდენცია 10 მაისის მდგომარეობით

	პირველი შემთხვევა 25.02.2020	სულ დადასტურებული 15,871	გამოჯანბრებული 13,951
	პიკი დაფიქსირდა 26 მარტს, შეზღუდვების დაწესებიდან 10 დღეში. 27 მარტიდან აღინიშნება მკვეთრი კლება.	შემთხვევები 1 მლნ მოსახლეზე 1,762	ბარდაცვლილი 618

საშუალო სიმაკვრის ზომები

- ❗ სახლიდან გასვლა დასაშვებია მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში (პროფესიული ვალდებულება, საკვები პროდუქტების შექმნა, მესამე პირებისთვის აუცილებელი დახმარება);
- ❗ აიკრძალა 5 ადამიანზე მეტის შეკრება;
- ❗ სავაჭრო ობიექტებში სავალდებულოა ნიღბის ტარება;
- ❗ დაიხურა ყველა არსებითი მნიშვნელობის არ მქონე დაწესებულება, 21 კატეგორიის გამოკლებით.

ჯარიმების რაოდენობა

- 🚫 2180 ევრომდე ჯარიმა ჯგუფის წევრებს რომლებიც არ დაემორჩილებიან დაშლის მოთხოვნას (დაუშვებელია 5-ზე მეტი ადამიანის შეკრება);
- 🚫 3600 ევრომდე ჯარიმა დახურული ობიექტების ტერიტორიაზე შესვლისთვის (პარკები, სათამაშო მოედნები, ბარები, მაღაზიები, ა.შ.);
- 🚫 იურიდიული პირებს რომლებიც არ დაემორჩილებიან დახურვის მოთხოვნას, ემუქრებათ 30,000 ევრომდე ჯარიმა.

დანიი

შემთხვევათა რაოდენობა და ტენდენცია 10 მაისის მდგომარეობით

	პირველი შემთხვევა 27.02.2020	სულ დადასტურებული 10,429	გამოჯანბრებული 8,217
	პიკი 390 <small>დაფიქსირდა 7 აპრილს</small>	შემთხვევები 1 მლნ მოსახლეზე 1,801	ბარდაცვლილი 529

საშუალო სიმაკვრის ზომები

- ❗ 11 მარტი - პირველი შემთხვევა - საზღვრის ჩაკეტვა;
- ❗ 12 მარტი - საერთაშორისო გადაადგილების შეზღუდვა;
- ❗ 13 მარტი - საყოველთაო კარანტინი;
- ❗ 13 მარტი - სკოლების დახურვა;
- ❗ 17 მარტი - საჯარო ღონისძიებების შეწყვეტა;
- ❗ 18 მარტი - მოლემის, რესტორნების და ა.შ დახურვა;
- ❗ 18 აპრილი - 10 ადამიანზე მეტის შეკრების აკრძალვა.

ჯარიმების რაოდენობა

- 🚫 10 ადამიანზე მეტის შეკრების წესის დარღვევა - 2,500 DKK (365\$); იგივე ჯარიმა პოლიციის მიერ სახლიდან გამოსვლის აკრძალვის დარღვევისას;
- 🚫 სახელმწიფოს მიერ ზოგიერთი დაწესებულებების ფუნქციონირების აკრძალვის დარღვევა - 10,000 DKK (1,450\$)-დან;
- 🚫 სახელმწიფოს მიერ გარკვეული შეზღუდვებით მუშაობის უფლების მქონე დაწესებულებების მიერ დადგენილი შეზღუდვების დარღვევა - 3,000 DKK (437\$);
- 🚫 საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო შემონშების, პოსიტილიზაციის, იზოლაციის ან მკურნალობის მოთხოვნის დარღვევა - 3,500 DKK (509\$);
- 🚫 ვირუსის გავრცელების განსაკუთრებულად საფრთხის შემცველი დაწესებულებების დახურვის მოთხოვნის შეუსრულებლობა - 2,500 DKK (364\$).

ბელგია

შემთხვევათა რაოდენობა და ტენდენცია 10 მაისის მდგომარეობით

	პირველი შემთხვევა 04.03.2020	სულ დადასტურებული 53,081	გამოჯანმრთელებული 13,642
	პიკი ყოველდღიური დაინფიცირებების პიკი 15 აპრილს ფიქსირდება, საგანგებო ზომების გამოცხადებიდან ერთი თვის შემდეგ.	შემთხვევები 1 მლნ მოსახლეზე 4,580	გარდაცვლილი 8,656

საშუალო სიმკაცრის ზომები

- ❗ დაიხურა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების უმრავლესობა (სკოლები, კაფე-რესტორნები, სპორტული კლუბები, არსებითი მნიშვნელობის არ მქონე მაღაზიები და სავაჭრო ცენტრები);
- ❗ არსებითი მნიშვნელობის არ მქონე კომპანიებს დაეკისრათ დისტანციური მუშაობის რეჟიმზე გადასვლა;
- ❗ აიკრძალა ადამიანების ჯგუფების გარეთ გადაადგილება/შეკრება, გარდა ერთ ჯერ-ქვეშ მცხოვრები პირებისთვის და ოჯახის წევრებისთვის;
- ❗ აიკრძალა ღია ვაჭრობა;
- ❗ საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრები უნდა განლაგდნენ 1.5 მეტრის დაშორების დაცვით.

ჯარიმების რაოდენობა

- 📢 250 ევრო სოციალური დისტანცირების წესების დარღვევისთვის (ფიზიკური პირები);¹
- 📢 750 ევრომდე ჯარიმდებიან არსებითი მნიშვნელობის არ მქონე სავაჭრო ობიექტები რომლებიც დახურვაზე უარს აცხადებენ (იურიდიული პირები).

ჩეხეთი

შემთხვევათა რაოდენობა და ტენდენცია 10 მაისის მდგომარეობით

	პირველი შემთხვევა 01.03.2020	სულ დადასტურებული 8,095	გამოჯანმრთელებული 4,448
	პიკი დაფიქსირდა 27 მარტს, საყოველთაო კარანტინის გამოცხადებიდან 11 დღეში, რის შემდეგაც აღინიშნება მკვეთრი კლება.	შემთხვევები 1 მლნ მოსახლეზე 756	გარდაცვლილი 276

¹ მუხლი 187, სამოქალაქო უსაფრთხოების კანონი

საშუალო სიმაკვრის ზომები

- 12 მარტი - გამთვხადდა საგანგებო მდგომარეობა;
- 16 მარტი (საყოველთაო კარანტინი);
- სახლიდან გასვლა დასაშვებია მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში (გამონაკლისების სია გამოაქვეყნა პრემიერ მინისტრის კაბინეტმა);
- 2 მეტრიანი დისტანცია გარეთ გადაადგილებისას;
- დაიხურა სკოლები, რესტორნები, სავაჭრო ობიექტები, სამორინეები, სერვის ცენტრები და სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები;
- სავალდებულოა პირბადის მორგება;
- საზოგადოებრივი ტრანსპორტი შეჩერებულია.

ჯარიმების რაოდენობა

- 20,000 ჩეხურ კრონამდე (800 ა.შ.შ. დოლარი) ჯარიმა ფიზიკურ პირებს, საგანგებო ზომების დაუმორჩილებლობისთვის (ქვედა ზღვარი არ არის კანონით დადგენილი);
- 3,000,000 ჩეხურ კრონამდე (120,000 ა.შ.შ. დოლარი) იურიდიულ პირებს საგანგებო ზომების დაუმორჩილებლობისთვის.

ნორვეგია

შემთხვევათა რაოდენობა და ტენდენცია 10 მაისის მდგომარეობით

	პირველი შემთხვევა 26.02.2020	სულ დადასტურებული 8,099	გამოჯანბრებული 7,114
	პიკი 399 <small>დაფიქსირდა 27 მარტს</small>	შემთხვევები 1 მლნ მოსახლეზე 1,494	ბარდაცვლილი 219

საშუალო სიმაკვრის ზომები

- 11 მარტი - ლონისძიებები სადაც 500 ადამიანზე მეტი შეიკრიბება;
- 12 მარტი - საყოველთაო კარანტინი;
- 12 მარტი - ყველა საფეხურის სასაწავლო დაწესებულების დახურვა;
- 15 მარტი - საზღვრების ჩაკეტვა;
- 24 მარტი - 10 ადამიანზე მეტის შეკრების აკრძალვა.

ჯარიმების რაოდენობა

- კარანტინის ან იზოლაციის წესების დარღვევისათვის - 20,000 კრონა (2,000\$) ან 15 დღიანი პატიმრობა;
- მოქალაქის რეგისტრაციის მუნიციპალიტეტიდან გასვლა 15,000 კრონა (1,500\$) ან 10 დღიანი პატიმრობა.

სომხეთი

შემთხვევათა რაოდენობა და ტენდენცია 10 მაისის მდგომარეობით

	პირველი შემთხვევა 01.03.2020	სულ დადასტურებული 3,313	ბამოჭანმრთელთა რაოდენობა 1,325
	პიკი 163 დაფიქსირდა 6 მაისს	შემთხვევები 1 მლნ მოსახლეზე 1,118	ბარდაცვლილი 45

საშუალო სიმკაცრის ზომები

- ❗ 16 მარტიდან 24 მაისის ჩათვლით ქვეყნის მასშტაბით მოქმედებს **საგანგებო მდგომარეობა**;
- ❗ დახურულია საგანმანათლებლო დაწესებულების ყველა საფეხური;
- ❗ გარეთ გასვლის შემთხვევაში, თითოეული მოქალაქე ვალდებულია თან ჰქონდეს პასპორტი, ან სხვა მაიდენტიფიცირებელი ოფიციალური დოკუმენტი;
- ❗ აკრძალულია ნებისმიერი სახის ღონისძიებაზე 20-ზე მეტი პირის დასწრება;
- ❗ ქვეყნის მასშტაბით გადაადგილებაზე შეზღუდვა;
- ❗ ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლა დაშვებულია მხოლოდ: სომხეთის მოქალაქეებისთვის, სომხეთის მოქალაქეობის მქონე პირის ოჯახის წევრისთვის, სომხეთის ტერიტორიაზე ცხოვრების უფლების მქონე პირებისთვის;
- ❗ თითოეული საერთაშორისო მგზავრი ვალდებულია შეავსოს კითხვარი, მიმართოს თვითიზოლაციას ან თვითდაკვირვებას 14 დღის განმავლობაში.

ჭარბების რაოდენობა

- 📢 იზოლაციის ან თვითიზოლაციის დარღვევის შემთხვევაში ჯარიმა: 100 000 - 250 000 დრამი (200 - 500 USD);
- 📢 კანონის დარღვევითა და დაუდევრობით სხვა ადამიანის დაინფიცირების შემთხვევაში ჯარიმა: 300 000 - 500 000 დრამი (600 - 1000 USD), ან მაქსიმუმ 1 თვით პატიმრობა;
- 📢 ორი ან ორზე მეტი პირის დაინფიცირების, მათი ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში ჯარიმა: 500 000 - 700 000 დრამი (1000- 1450 USD), 1-3 თვემდე პატიმრობაში ყოფნა ან 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთა;
- 📢 ქმედება რომელიც გამოიწვევს პირის გარდაცვალებას დაისჯება 2-4 წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

შვეიცარია

შემთხვევათა რაოდენობა და ტენდენცია 10 მაისის მდგომარეობით

	პირველი შემთხვევა	სულ დადასტურებული	გამოჯანმრთელებული
	25.02.2020	30,305	26,400
	პიკი	შემთხვევები 1 მლნ მოსახლეზე	ბარდაცვლილი
	1,393 დაფიქსირდა 20 მარტს	3,502	1,830

საშუალო სიმკაცრის ზომები

- ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლა ნებადართულია შვეიცარიის მოქალაქეებისთვის, შვეიცარიაში ბინადრობის ნებართვის მქონე პირებისთვის და მათთვის, ვინც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებს;
- აკრძალულია ხუთზე მეტი მოქალაქის თავშეყრა, ადამიანებს შორის დისტანცია განისაზღვრა 2 მეტრით.

* სასწავლო დაწესებულებებში სწავლის განახლების თარიღად თავდაპირველად 19 აპრილი დასახელდა, თუმცა ვადა 1-ლ მაისამდე გაგრძელდა;

* საგანგებო მდგომარეობა ქვეყნის მასშტაბით 16 მარტიდან 26 აპრილის ჩათვლით მოქმედებდა, 27 აპრილიდან შვეიცარიის მთავრობამ მიღებული ზომების ეტაპობრივი, სამსაფეხურიანი შემსუბუქების გადწყვეტილება მიიღო.

ჯარიმების რაოდენობა

- 5-ზე მეტი პირის თავშეყრის, ან დისტანციის დარღვევის შემთხვევაში ჯარიმა - 100 შვეიცარული ფრანკი (100 USD).

ფინეთი

შემთხვევათა რაოდენობა და ტენდენცია 10 მაისის მდგომარეობით

	პირველი შემთხვევა 30.02.2020	სულ დადასტურებული 5,962	გამოჯანბრებული 4,000
	პიკი 267 დაფიქსირდა 4 აპრილს	შემთხვევები 1 მლნ მოსახლეზე 1,076	ბარდაცვლილი 267

მსაბუთი ფაქტები

- 18 მარტი - საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, დაიხურა სკოლები, უნივერსიტეტები, საჯარო თავშეყრის ადგილები, საერთაშორისო მიმოსვლა აიკრძალა;
- 27 მარტი - ჰელსინკი და მისი შემოგარენი ჩაიკეტა;
- 18 აპრილი - 10 ადამიანზე მეტის შეკრება აიკრძალა.

ჯარიმების რაოდენობა

- კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები ჯანმრთელობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისა და სხვა შესაბამისი მუხლების დარღვევისათვის;
- ჯარიმა ჩაკეტილ რეგიონში მიმოსვლის აკრძალვის დარღვევისათვის.

სამხრეთ კორეა

შემთხვევათა რაოდენობა და ტენდენცია 10 მაისის მდგომარეობით

	პირველი შემთხვევა 20.01.2020	სულ დადასტურებული 10,874	გამოჯანბრებული 9,610
	პიკი დაფიქსირდა 3 მარტს, 22 თებერვალს, ქალაქ დაეგუში დაფიქსირდა მაღალი რისკის შემცველი შემთხვევა (რელიგიური სექტის კლასტერი), რამაც გამოიწვია დაინფიცირების რაოდენობის მკვეთრი ზრდა, ამ ინციდენტზე სახელმწიფოს სწრაფი რეაგირების შემდეგ აღინიშნება აშკარა ვარდნა დაინფიცირებულების რაოდენობაში.	შემთხვევები 1 მლნ მოსახლეზე 212	ბარდაცვლილი 256

მსაბუთი ფაქტები

- საჯარო ღონისძიებების აკრძალვა;
- სკოლების დახურვა;
- გარკვეულ სექტორებში მუშაობის შეჩერება;
- 14 დღიანი თვით იზოლაცია საზღვრის გადმოკვეთის შემდეგ, ასევე ინფიცირებულთან კონტაქტის დადგენისა და ტესტირების შემდეგ;
- 14 დღიანი კარანტინი ჰოსპიტალში დაინფიცირებულებისთვის;
- სამხედრო ბაზების კარანტინი.

ჯარიმების რაოდენობა

- 10 მილიონი კორეული უონი (8,000 ა.შ.დ დოლარი) 14 დღიანი კარანტინის დარღვევისთვის.

ნიდერლანდები

შემთხვევათა რაოდენობა და ტენდენცია 10 მაისის მდგომარეობით

	პირველი შემთხვევა 27.02.2020	სულ დადასტურებული 42,627	გამოჭანმრთელებული არ აღირიცხება
	პიკი ყოველდღიური ახალი შემთხვევების რაოდენობა საკმაოდ მერყევით, პიკი დაფიქსირდა 10 აპრილს, ხოლო მას შემდეგ აღინიშნება კლება.	შემთხვევები 1 მლნ მოსახლეზე 2,488	ბარდაცვლილი 5,440

მსახური ზომები

- ❗ დაიხურა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების უმრავლესობა (სკოლები, კაფე-რესტორნები, სპორტული კლუბები);
- ❗ 1.5 მეტრიანი სოციალური დისტანცირების ვალდებულება;
- ❗ საყოველთაო კარანტინი არ გამოცხადებულა.

ჭარიების რაოდენობა

- 📢 400 ევრომდე ფიზიკური პირებისთვის;
- 📢 4000 ევრომდე იურიდიული პირებისთვის.

გერმანია

შემთხვევათა რაოდენობა და ტენდენცია 10 მაისის მდგომარეობით

	პირველი შემთხვევა 28.02.2020	სულ დადასტურებული 171,324	გამოჭანმრთელებული 144,400
	პიკი დაფიქსირდა 27 მარტს	შემთხვევები 1 მლნ მოსახლეზე 2,045	ბარდაცვლილი 7,549

მსახური ზომები

- ❗ 22 მარტიდან 2 კვირით აიკრძალა ორ პირზე მეტის შეკრება;
- ❗ აღამიანებს შორის დისტანციის დაცვა განისაზღვრა 1.5 მეტრით;
- ❗ შეზღუდვები დაუნესდათ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს როგორც წყლის და საჰაერო, ისე სარკინიგზო ტრანსპორტით შემოსვლაზე;
- ❗ 14-დღიანი სავალდებულო კარანტინი, ნებისმიერი საერთაშორისო მგზავრისთვის;
- ❗ 22 აპრილიდან ფედერალურ დონეზე აიკრძალა მარკეტებში, აფთიაქებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტებსა და სავაჭრო ცენტრებში პირბადის გარეშე გადაადგილება;
- ❗ მასობრივ შეკრებებზე შეზღუდვა 31 აგვისტომდე გაგრძელდება.

ბავარია?

- ❗ 20 მარტი - 3 მაისის ჩათვლით გამოცხადებულია **საგანგებო მდგომარეობა**, მოქმედებს სპეციალური საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი.

² ფედერალურ მიწებს შორის შემთხვევათა ყველაზე მეტი რაოდენობა დაფიქსირდა ბავარიის მხარეში

ჯარიმების რაოდენობა


- კარანტინის რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში სანქცია განისაზღვრება ჯარიმით, რომლის რაოდენობა განისაზღვრება პირის თვიური შემოსვლის მიხედვით, 10-100 ევრომდე, ან 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთით;
- კარანტინის რეჟიმის დამრღვევი პირი, რომელიც გამოიწვევს სხვა პირის დაინფიცირებას მიეცემა 5 წლამდე პატიმრობაში;
- ქვეყნის მასშტაბით (გარდა ბერლინისა და ბრანდენბურგისა) მარკეტებში, აფთიაქებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტებსა და სავაჭრო ცენტრებში პირბადის³ გარეშე გადაადგილებაზე ჯარიმა განისაზღვრა 25 ევროდან - 5000 ევრომდე.⁴

ბაპარია

- მინიმალური დისტანციის (1.5 მეტრი) დარღვევაზე ჯარიმა - 150 ევრო;
- სამედიცინო დანესებულებებში ნებართვის გარეშე ვიზიტი, ჯარიმა - 500 ევრო;
- ნებართვის გარეშე რესტორნის გახსნა გამოიწვევს მფლობელის დაჯარიმებას, ჯარიმა - 5,000 ევრო.

ისლანდია

შემთხვევათა რაოდენობა და ტენდენცია 10 მაისის მდგომარეობით

	პირველი შემთხვევა	სულ დადასტურებული	გამოჯანდობილი
	28.02.2020	1,801	1,773
	პიკი	შემთხვევები 1 მლნ მოსახლეზე	ბარდაცვლილი
	99 დაფიქსირდა 2 აპრილს	5,278	10

მსაბუთი ზომები

- 16 მარტი - დაიხურა სკოლები;
- 23 მარტი - თავშეყრის ადგილები დაიხურა და 20 ადამიანზე მეტის შეკრება აიკრძალა.

ჯარიმების რაოდენობა

- კარანტინის დარღვევისთვის ISK 50,000-250,000 (\$360-1,790);
- თვითიზოლაციის დარღვევისთვის ISK 500,000 (\$3,590);
- 20 ადამიანზე მეტის შეკრებაში მონაწილეობისათვის ISK 50,000 (\$360);
- ასეთი შეკრების ორგანიზებისათვის ISK 500,000 (\$3,590).

³ პირბადის ნაცვლად მოქალაქეებს შეუძლიათ თავსაფრის ან სხვა სახის დამცავის გამოყენება

⁴ აქ იგულისხმება დაწესებულების მენეჯერის დაჯარიმებაც, თუ მოქალაქეს პირდაპირ გარეშე შესვლის ნებას მისცემს

თაივანი

შემთხვევათა რაოდენობა და ტენდენცია 10 მაისის მდგომარეობით

	პირველი შემთხვევა 21.01.2020	სულ დადასტურებული 440	გამოჯანმრთლებული 366
პიკი 20 მარტიდან აღინიშნება ყოველდღიური ინფიცირების შემთხვევების რაოდენობის აშკარა ვარდნა, მას შემდეგ რაც აიკრძალა უცხო ქვეყნის მოქალაქეების შემოსვლა ხოლო ტაივანის მოქალაქეებისთვის დაწესდა 14 დღიანი კარანტინი.	შემთხვევები 1 მლნ მოსახლეზე 18	გარდაცვლილი 6	

მსახური ზომები

- აქტუალურია 2 კვირიანი ინდივიდუალური კარანტინი ძირითადად ქვეყანაში ჩამოსული მგზავრებისთვის ან მათთვის ვისაც აღინიშნებათ სიმპტომები;
- საყოველთაო კარანტინი ან საგანგებო მდგომარეობა არ გამოცხადებულა;
- 6 თებერვალს აღიკვეთა ჩინეთიდან მომავალი ფრენები, ხოლო 20 მარტს სრულიად აიკრძალა სამღვრის კვეთა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, ხოლო დაბრუნებულ ტაივანის მოქალაქეებს დაუწესდათ 2 კვირიანი სავალდებულო კარანტინი ჩამოსვლის დღიდან.

ჯარიმების რაოდენობა

- 10,000-150,000 ტაივანური დოლარი (350-5000 აშშ დოლარი) 2 კვირიანი კარანტინის დარღვევისთვის. კონტროლი ხორციელდება ელექტრონული ბლუდის სისტემით.

შვედეთი

შემთხვევათა რაოდენობა და ტენდენცია 10 მაისის მდგომარეობით

	პირველი შემთხვევა 01.02.2020	სულ დადასტურებული 26,322	გამოჯანმრთლებული 4,971
პიკი დაფიქსირდა 24 აპრილს	შემთხვევები 1 მლნ მოსახლეზე 2,606	გარდაცვლილი 3,225	

მსახური ზომები

- 12 მარტი - აიკრძალა 500 ადამიანზე მეტის შეკრება;
- 18 მარტი - საერთაშორისო ფრენების აკრძალვა (ევროკავშირის წევრი და რამდენიმე სხვა ქვეყნის გარდა);
- 24 მარტი - კვების ობიექტებში მაგიდებს შორის დაწესებული დისტანციის დაცვა;
- 27 მარტი - 50 ადამიანზე მეტის შეკრება;
- 28 მარტი - 16 წელს ზემოთ სასწავლო პროცესის შეწყვეტა სკოლებსა და უნივერსიტეტებში;
- 1 აპრილი - მოხუცებულთა თავშესაფარში ვიზიტის აკრძალვა.

ჯარიმების რაოდენობა

- 50 ან მეტი პირის შეკრების აკრძალვის - ჯარიმა (არ არის დაკონკრეტებული) ან 6 თვიანი პატიმრობა.



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.